



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა

ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ეფექტურობა
სტუდენტების ჩარიცხვის პროცესის მარკეტინგ მენეჯმენტში
საქართველოს უნივერსიტეტებისათვის

იოსებ გაბელაია
ბიზნესის ადმინისტრირება
სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2020

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

დოქტორი ალან დაიკენსი

კახაბერ ჯაყელი, ასოცირებული პროფესორ დოქტორი

(სახელი, გვარი)

(შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

(აკადემიური წოდება)



(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. ტატიანა პაპიაშვილი, პროფესორ დოქტორი


2. ნიკოლოზ ფარჯანაძე, პროფესორ დოქტორი

3. თეონა მაისურაძე, ასოცირებული პროფესორ დოქტორი

(არსებობის შემთხვევაში)

ოპონენტები/ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. შებ თრუ, პროფესორ დოქტორი



2. იზა გიგაური, ასოცირებული პროფესორ დოქტორი

3. ჩარიტა ჯაში, ასოცირებული პროფესორ დოქტორი

(არსებობის შემთხვევაში)

შესავალი

კვლევის მიმოხილვა

სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტი თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო ბაზრის მთავარი პრიორიტეტი გახდა (დოკინგი და ქართონი, 2015). სტუდენტთა ჩარიცხვის სტატისტიკა განსაზღვრავს უნივერსიტეტების ბიუჯეტს და სამომავლო საქმიანობას. გარდა ამისა, ეკონომიკურმა კონკურენციამ სტუდენტთა ბაზარზე შეაფერხა უნივერსიტეტების მცდელობა უზრუნველყონ ჩარიცხვების საკმარისი რაოდენობა. ჩარიცხვების დაბალმა რაოდენობამ გამოიწვია ბიუჯეტების შემცირება. შესაბამისად, ეს ტენდენცია ავალდებულებს უნივერსიტეტებს მიიღონ გადაჭრითი ზომები და გადაწყვეტილებები სტუდენტთა ჩარიცხვების დაბალი მაჩვენებლის თავიდან ასაცილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტები როგორც გლობალურად, ისე საქართველოში ცდილობენ მართონ ჩარიცხვის დაბალი დონე, ერთდერითი შემოთავაზებული გამოსავალი ასეთ ვითარებაში არის საფასურებზე შეღავათების ოდენობის ზრდა. მეორეს მხრივ კი სწავლის საფასურზე შეღავათების მაღალი მაჩვენებლები გავლენას ახდენს სამომავლო ინსტიტუციონალურ განვითარებაზე და უნივერსიტეტებს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს.

დაბალბიუჯეტის რეკრუტირების სტრატეგიის შემუშავება სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტის ძირითადი მიზანია. პოტენციური სტუდენტები იღებენ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ალტერნატივის შეფასებისას, შესაბამისად, რეკრუტირების მოლოდინი საკმაოდ დიდია. ლლონტის აზრით (2012), საქართველოში, უნივერსიტეტები არ ითვალისწინებენ ჩარიცხვის მონაცემებს და კონკურენციას უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, შესაბამისად, სტუდენტებს არ სჭირდებათ ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტების ჩარიცხვის მენეჯმენტი მოიცავს უამრავ კომპონენტს, როგორებიცაა: მარკეტინგი, რეკრუტირება, ფასები, აკადემიური პერსონალი, საცხოვრებელი ადგილი, კარიერის განვითარება, სტუდენტთა საქმეები და ა.შ. მიუხედავად ამისა, განსხვავებული ხარისხის, პროფესიის, კულტურის და ა.შ. ადამიანები დასაქმებულები არიან უნივერსიტეტებში.

საკვლევი პრობლემის დასმა

სტუდენტების ჩარიცხვის რაოდენობის შენარჩუნება უშუალო კავშირშია ეფექტურ ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციასთან. უნივერსიტეტებსა და სტუდენტებს შორის სათანადო კომუნიკაცია ამყარებს გრძელვადიან ურთიერთობებს, შესაბამისად, იგი პოზიტიური შედეგებს იწვევს. გარდა ამისა, ეფექტური კომუნიკაციის გამოყენება ზრდის სტუდენტთა ჩარიცხვის რაოდენობის განსაზღვრის სიზუსტეს, ეს ხელს უწყობს ინსტიტუციონალური რესურსების ეფექტურად განაწილებას.

მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებული, ჩარიცხვის იაფი და ეფექტური მოდელების შემუშავება ქმნის უნიკალურ შესაძლებლობას სტუდენტების ჩარიცხვის მენეჯმენტის ძირითადი ასპექტების გადასაჭრელად. კვლევაში, ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია ფუნდამენტურ საკითხი წარმოადგენს. ამის მიუხედავად, ბევრმა უნივერსიტეტმა არ იცის და / ან არ იღებს თანამედროვე გადაწყვეტილებებს- სტუდენტთა რეკრუტირებისას თანმიმდევრული სტრატეგიების არარსებობის გამო.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ეფექტურობის გადამოწმება სტუდენტების ჩარიცხვის პროცესის მენეჯმენტში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების გამოყენებით, Six Sigma-სა და Kaizen-ის მეთოდების საშუალებით. ამრიგად, კვლევა მიზნად ისახავს სტუდენტების ჩარიცხვის პროცესის მენეჯმენტის მოდელის შემუშავებას საქართველოს უნივერსიტეტებში, სტუდენტების ჩარიცხვის პროცესში დანაკარგის შესამცირებლად, ტრადიციული ფიქსირებული მოდელების ახალი და სტრატეგიული გადაწყვეტილებების ჩანაცვლების გზით.

კვლევის საკითხი

კვლევა მიზნად ისახავს ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობის გაგებას სტუდენტების ჩარიცხვის პროცესის მენეჯმენტში. დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები: პირველ რიგში შემოწმდა სტუდენტების ჩარიცხვის ბაზარი აშშ-სა და საქართველოში; მეორე, მოხდა

სტუდენტების ჩარიცხვის პროცესში ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის როლის განსაზღვრა. ბოლოს, Six Sigma-ს და Kaizen-ის მენეჯმენტის მეთოდები გამოყენებული იქნა სტუდენტების ჩარიცხვის პროცესის მენეჯმენტში ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ძირეული მიზეზების დასადგენად.

ჰიპოთეზა

სტუდენტების ჩარიცხვის პროცესის მენეჯმენტში ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის გავლენის გასარკვევად გამოყენებული იქნა შემდეგი ჰიპოთეზები:

- **ჰიპოთეზა (0)** - კვლევა ითვალისწინებს, რომ ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია გავლენას არ მოახდენს უნივერსიტეტებსა და სტუდენტებს შორის ორმხრივ კომუნიკაციაზე; შესაბამისად, გავლენას არ მოახდენს სტუდენტების ჩარიცხვის საერთო რაოდენობაზე.
- **ჰიპოთეზა (1)** - კვლევა ითვალისწინებს, რომ ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია მართლაც ახდენს გავლენას უნივერსიტეტებსა და სტუდენტებს შორის ორმხრივ კომუნიკაციაზე; შესაბამისად, ახდენს გავლენას სტუდენტების ჩარიცხვის მთლიან რაოდენობაზე.

ჰიპოთეზა შემოწმებული იქნა ემპირიული/ფაქტობრივი კვლევის საშუალებით, რომელიც განხორციელდა ექსპერიმენტალური დაკვირვებით, გამოკვლევა ჩატარდა ემპირიული კვლევის საშუალებით.

სიახლე

მცირე რაოდენობის კვლევები ეხება სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტის საკითხებს; ამასთან, ისინი არ შეისწავლიან ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ეფექტურობას. შედეგად, იქმნება სხვადასხვა ციფრული პროგრამული პლატფორმები, სტუდენტების ჩარიცხვის ინიციატივების მხარდასაჭერად. ამის მიუხედავად, ზოგადი გავლენა ჩარიცხვების საერთო რაოდენობაზე მინიმალურია. აქტუალურობა არის ის, რომ პოტენციური სტუდენტების განსაზღვრა მოითხოვს მიმღები სპეციალისტების არსებობას, იმისათვის რომ ჩამოყალიბდეს ეფექტური კომუნიკაცია შემდგომი ინსტიტუციური ხანგრძლივობისთვის.

საერთაშორისო პრაქტიკული და თეორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, კვლევამ შეიმუშავა და მოახდინა GEOSEM მოდელის შეთავაზება საქართველოს უნივერსიტეტებისთვის. GEOSEM მოდელის მიღება განხორციელდა Six Sigma-სა და Kaizen-ის მენეჯმენტის მეთოდების გამოყენებით სტუდენტების ჩარიცხვის მენეჯმენტში, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის გამოკვლევით, როგორც ძირითადი წყარო, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს სტუდენტების ჩარიცხვის რაოდენობაზე, იქნება ეს რეკრუტირება თუ მხოლოდ მიღება. შემოთავაზებული მოდელის გამოყენება საშუალებას იძლევა უფრო ობიექტურად შეფასდეს სტუდენტების ჩარიცხვის მენეჯმენტთან დაკავშირებული რისკები. მოდელი რეგულირდება არა მხოლოდ საქართველოში არსებული, არამედ სხვა მცირე თუ დიდი, კერძო თუ სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის.

თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

კვლევის თეორიული საფუძველი იყო Six Sigma და Kaizen-ის მეთოდები. Six Sigma არის ტექნიკისა და მეთოდების კომპლექსი პროცესის გაუმჯობესებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ძირეული მიზეზების იდენტიფიცირებას და მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევას. იგი წარმოადგინა ბილ სმიტმა, ამერიკელმა ინჟინერმა, რომელიც Motorola-ში მუშაობდა. Six Sigma-ს სასერტიფიკატო საბჭო (2018) განმარტავს, რომ ცვალებადობის შემცირებისა და შეცდომის შესაძლებლობების შესამუშავებლად, Six Sigma მეთოდი საბოლოოდ ამცირებს პროცესთან დაკავშირებულ ხარჯებს და ზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას.

გარდა ამისა, Kaizen-ი არის კონცეფცია, რომელიც ეხება ბიზნეს საქმიანობას, რომელიც მუდმივად აუმჯობესებს ყველა ფუნქციას და მოიცავს ყველა თანამშრომელს, უმაღლესი ადმინისტრაციული ერთეულიდან მუშებამდე. Kaizen-ი წარმოადგინა მასაკი იმაიმ, იაპონელმა ორგანიზაციულმა თეორეტიკოსმა და მენეჯმენტის კონსულტანტმა. Kaizen-ი მიზნად ისახავს დანაკარგების აღმოფხვრას ორგანიზაციის ყველა სისტემაში.

Kaizen-ის მეთოდი ადვილად ინტეგრირდება Six Sigma-ში, რამაც დამატებითი მნიშვნელობა მისცა სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტში ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის სიღრმისეულ ანალიზს. Kaizen-ის მეთოდი არ არის

მხოლოდ მარტივი გაუმჯობესების პროცესი. შესაბამისად, თუ იგი სწორად არის გამოყენებული, ეს გამოირიცხავს დამატებით შრომას, ხელს უწყობს სამუშაო ადგილების ზრდას და რაც მთავარია გვაწვდის ინფორმაციას, თუ როგორ უნდა მოხდეს დანაკარგების ამოცნობა და აღმოფხვრა ბიზნეს საქმიანობაში. Six Sigma-მ და Kaizen-მა დამატებითი ძალა მისცეს საქართველოს უნივერსიტეტებისთვის შექმნილ მოდელს.

კვლევის განმავლობაში გამოყენებული იყო Six Sigma და Kaizen-ის მენეჯმენტის მეთოდები, სტუდენტების ჩარიცხვის მენეჯმენტში ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის განსაზღვრის, გაზომვის, ანალიზისა და გაუმჯობესების მიზნით. მიზანი იყო პერსპექტიულ სტუდენტებთან კომუნიკაციის ნაკადის მენეჯმენტის კონცეფციის შექმნა.

პრაქტიკული ღირებულება არის ის, რომ ვერბალური და არავერბალური საკომუნიკაციო მონაცემები შეგროვდა და მოხდა მათი ინტერირება სტუდენტთა ჩარიცხვის უკეთესი სტრატეგიის შემუშავების მიზნით, შესაბამისად, საქართველოს უნივერსიტეტებში უკეთ დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველყოფა. მარკეტინგისა და საკონსულტაციო კომპანიების დაქირავებისთვის მილიონობით დოლარი იხარჯება. მიუხედავად ამისა რომ დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის სწორად წარმართვის ცოდნა ახალ გამოწვევებს ავლენს ინსტიტუციებში.


კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდი

კვლევაში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგია, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების კომბინაცია. კვლევის მონაცემები შეგროვდა პირველადი კვლევის შედეგად. პირველადი მონაცემების მაგალითები იყო ონლაინ გამოკითხვები, პირდაპირი გამოკითხვები, სიღრმისეული ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფის დაკვირვებები და ა.შ. მეორადი მონაცემები შეგროვდა ელექტრონული წყაროებიდან, მასალებიდან და ა.შ.

კვლევითი ნაწილი დაიწყო ბაზრის კვლევით. დიაგრამა 1. ასახავს კვლევის დიზაინს. პირველი, კვლევა გამოყენებული იქნა სტუდენტების ჩარიცხვისა და მისი კომუნიკაციის შესახებ იდეების, ინფორმაციისა და შეხედულებების გასარკვევად.

მეორე, აღწერითი კვლევა გამოყენებული იქნა იმ გარემოს დასახასიათებლად, სადაც დაწესებულებები ფუნქციონირებენ. დაბოლოს, მიზეზობრივი კვლევა იქნა გამოყენებული ჩარიცხვების მენეჯმენტში ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციების დასადგენად.

დიაგრამა 1. კვლევის დიზაინი



წყარო: შემუშავებულია მკვლევარის მიერ

მიმოხილული იქნა არსებული ლიტერატურა, რომელიც ეხებოდა სტუდენტების ჩარიცხვის მენეჯმენტს, ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციას და Six Sigma და Kaizen-ის მენეჯმენტის მეთოდებს Muda-სთან ერთად. Six Sigma და Kaizen-ის მენეჯმენტის მეთოდები ხელს უწყობდა კვლევის პრობლემის სიღრმისეულ შესწავლას. ასევე შემოთავაზებული იქნა სახელმძღვანელო, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეფექტური კომუნიკაციის საკითხი.

შესწავლილი იქნა ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის გავლენა სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტზე ემპირიული კვლევის საშუალებით; ჩატარდა გამოკითხვა და ბოლოს მოხდა საქართველოს, როგორც მაგალითის შესწავლა. ამიტომ, კვლევის პირველი ნაწილი იყო ემპირიული კვლევა დაკვირვებით. დაკვირვება გამოყენებული იქნა ფოკუს ჯგუფზე და მოხდა მისი შესწავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში. კვლევა ორი წელი გაგრძელდა, 2017 წლის 1 სექტემბრიდან - 2019 წლის 1

სექტემბრამდე. ემპირიული კვლევა განხორციელდა გამოკითხვასთან ერთად და ჩატარდა 2019 წლის 1 ოქტომბრიდან - 2019 წლის 25 ნოემბრამდე. კვლევების პარალელურად, მოხდა დაკვირვება ქართველი სტუდენტების ჩარიცხვის ბაზარზე.

დაკვირვების მიზნით, უნივერსიტეტი 1 შეირჩა სხვა 17 უნივერსიტეტიდან. ამ კონკრეტული უნივერსიტეტის შერჩევას საფუძვლად დაედო პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გამოყენებული იყო საკომუნიკაციო პროცესის მონიტორინგისთვის და მონაცემებზე წვდომისთვის. უნივერსიტეტი 1 იყენებს Uniface-ს - შემუშავებისა და განლაგების პლატფორმას ინსტიტუციის განაცხადების მიღებისთვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ჩასაწერად და ასევე Cogno-ს - ბიზნეს დაზვერვის გადაწყვეტილება, ყოველკვირეული ზარების მონაცემების შესახებ და ა.შ.

სასწავლო ჯგუფი იყო მიმღებთა ჯგუფი, რომელიც შედგებოდა შვიდი მიმღები მრჩევლისგან. კვლევის მიზანი იყო მიმღებ ჯგუფზე დაკვირვება და იმის დანახვა, თუ როგორ მოქმედებდა კომუნიკაცია სტუდენტთა ჩარიცხვის დაკომპლექტებასა და მიღწევებზე. კვლევას ჰქონდა შესაძლებლობა, მონიტორინგი განეხორციელებინა ზარების რაოდენობასა და კონტაქტებზე, რომლებიც დაფიქსირდა მიმღები წარმომადგენლების მიერ, ორწლიანი დაკომპლექტების ციკლისთვის.

გარდა ამისა, დაიწყო ონლაინ გამოკითხვა. კვლევის მიზანი იყო ჩატარებული ემპირიული კვლევის მხარდაჭერა. სამიზნე ჯგუფი იყო ქართველი რესპონდენტები; ამასთან, განხორციელდა გამოკითხვა უცხოელ რესპონდენტებთან.

გამოკითხვისთვის სამიზნე აუდიტორია იყო უმაღლესი განათლების პროფესიონალები, სტუდენტები და საშუალო სკოლის მრჩეველები / მწვრთნელები / წარმომადგენლები. პოპულაციური ჯგუფი შეადგენდა 1000 მონაწილეს, ამიტომ დაახლოებით 1300 –1400 მოწვევა გავრცელდა საკვლევ პოპულაციაში. საერთო ჯამში, 890 მონაწილემ ნახა კვლევა, აქედან 453 მონაწილემ დაიწყო კვლევა გარკვეულწილად. 328 მონაწილემ დაასრულა კვლევა, რომელთგან 105 ქართველი რესპონდენტი იყო.

ეთიკური საკითხის დასმა

კონფიდენციალობა იყო კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი. კვლევა ვალდებულია არ გამოიყენოს უნივერსიტეტის, სტუდენტების ან სხვა

დაინტერესებული მხარეების სახელები, თუ ეს არ იქნება ნებადართული. მიღებული იქნა ნებართვა დაკვირვების განსახორციელებლად. გამოკითხვის ყველა მონაწილეს ჰქონდა საშუალება წაეკითხა ინფორმაცია თანხმობის შესახებ და გადაეწყვიტა გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება/არმიღების საკითხი.

შეზღუდვები

კვლევის ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა ქართველი რესპონდენტების ყოყმანი ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.

თავი 1. ლიტერატურული მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვაში ინფორმაცია სამ ნაწილად არის დაყოფილი. პირველი, მიმოხილვა ეხება უმაღლესი განათლებისა და სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტს, რომელიც შედგება უმაღლესი განათლების გარემოს, ჩარიცხვის პროექციის მეთოდების, სტუდენტების ჩარიცხვის სქემების, მულტი-კულტურული სტუდენტების ჩარიცხვის, სტუდენტური განვითარების მიდგომების, კრიზისში უმაღლესი განათლებისა და სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტის მარკეტინგისაგან.

მეორე ნაწილი, ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს კომუნიკაციის საფუძვლებს, ეფექტურ ვერბალურ კომუნიკაციას, არავერბალურ კომუნიკაციას, კომუნიკაციის მენეჯმენტს, კომუნიკაციის ტენდენციებსა და კულტურას. მესამე ნაწილი, Six Sigma, Kaizen და Muda მეთოდების მიმოხილვა, რომელიც შედგება Six Sigma მეთოდისგან, Six Sigma ცოდნის გამოყენება, DMAIC საგზაო რუქის, Kaizen მეთოდის, Muda და Six Sigma მარკეტინგის გამოყენებით.

თავი 2. კვლევის კომპონენტები

მეორე თავის მიზანს წარმოადგენს მკვლევარის პრაქტიკული პერსპექტივიდან კვლევის სამი ძირითადი კომპონენტის განსაზღვრა. პირველი, კვლევა სიღრმისეულად შეისწავლის სტუდენტების ჩარიცხვის მენეჯმენტს და ეფექტურ ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციას. კვლევა აფასებს სტუდენტთა ჩარიცხვის გუნდს, მენეჯმენტის სისტემას და სამომავლო გაუმჯობესების სფეროებს. მეორე, განიხილავს კომუნიკაციის როლს სტუდენტების ჩარიცხვის მენეჯმენტში. იკვლევს

კომუნიკაციის ბარიერებს და იძლევა რეკომენდაციებს ეფექტური კომუნიკაციისთვის. დაბოლოს, კვლევაში გაანალიზებულია Six Sigma-ს გამოყენება სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტში. იგი ასახავს Six Sigma-ს გავლენას.

თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია და მიღებული მონაცემები

მესამე თავში აქცენტი გაკეთებულია სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტზე საქართველოში. კვლევა ითვალისწინებს სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტს, როგორც ახალ გაგებას საქართველოს უნივერსიტეტებისთვის. საქართველოს უნივერსიტეტებს არ აქვთ ცალკე სტუდენტთა ჩარიცხვის/მიღების განყოფილება. კვლევის მიხედვით, არსებობს მხოლოდ მიმღები ოფისი, რომელსაც ყველაზე მცირე ქმედითუნარიანობა გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტები იღებენ სტუდენტებს ეროვნული გამოცდების შედეგად, პოტენციური სტუდენტების მიღება მაინც საჭიროა. სტუდენტებმა უნდა დაინახონ, რა სარგებელს წარმოადგენენ უნივერსიტეტები და რატომ უნდა აირჩიონ სტუდენტებმა ეს დაწესებულებები.

დღეს, იქნება ეს საქართველო, თუ რომელიმე სხვა ქვეყანა, უნივერსიტეტები ფართოდ იყენებენ პირდაპირი დასაქმების მიღებულ საშუალებას, როგორცაა საგანმანათლებლო გამოფენები და უნივერსიტეტის ღია კარის დღეები. ეს საშუალება კვლავ ეფექტურია. ტექნოლოგიური მიღწევების წყალობით, ადგილობრივი და საერთაშორისო რეკრუტირების მიზნით, ელექტრონულად კადრების რეკრუტირება სულ უფრო ხშირად გამოიყენება.


მნიშვნელოვანია აღინიშნოს განსხვავება რეკრუტირებასა და მიღებას შორის. რეკრუტირება სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესში გულისხმობს თანამშრომლობას მომავალ სტუდენტებთან. ამ მექანიზმის მიხედვით, სტუდენტებმა უნდა მოამზადონ და წარადგინონ საჭირო დოკუმენტაცია მიღებისთვის. თითოეულ უნივერსიტეტს, თითოეულ ქვეყანაში აქვს საკუთარი მიღების პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც რეკრუტირების განზე დგას. პირველ რიგში, ხდება სტუდენტის რეკრუტირება და შემდეგ მიიღება. შესაბამისად, ეროვნული ან საერთაშორისო პოლიტიკა არ ზღუდავს ჩარიცხვების მენეჯმენტს მომავალ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის.

დღეს, უნივერსიტეტებს სჭირდებათ ჩარიცხვის სტრატეგიული დაგეგმვა, მონაცემთა რეკრუტირების გეგმების შესაქმნელად. უნივერსიტეტებს სურთ შემოსავლის გაზრდა, ამიტომ არეგულირებენ ფასდაკლების განაკვეთებს. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულის სამართავად უნივერსიტეტებში საჭიროა კონცენტრირება მოხდეს რეკრუტირების პროცესებზე. სტუდენტთა რეკრუტირების ძირითადი პროცესი მოიცავს ეფექტურ ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციას, ვიდრე დაკომპლექტების სტრატეგიები.

მონაცემთა საფუძველზე, რეკრუტირების პროექტებს შეუძლიათ ასახონ ჩარიცხვის სტრატეგიები; ამასთან, მათ არ შეუძლიათ გააცნონ ორმხრივი კომუნიკაციის მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტს, რომ მოამზადონ მიმღები კონსულტანტები/მრჩეველები რეკრუტირებისთვის.

კვლევის საზღვრები ასახულია დიაგრამაზე - 2. დიაგრამა 2 გვიჩვენებს, რომ ინსტიტუტებსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობა ხდება ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის საშუალებით, ამიტომ სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომუნიკაციის სტრატეგიებზე. უკუკავშირი, იქნება ეს დაწესებულებიდან თუ სტუდენტიდან ხორციელდება Six Sigma-ს საშუალებით, სადაც მიმღები წარმომადგენელი, ან სტუდენტთა ჩარიცხვის გუნდი განსაზღვრავს და ეტაპობრივად DMAIC საგზაო რუქის საშუალებით გამორიცხავს დანაკარგებს და იღებს სრულ კონტროლს.

დიაგრამა 2. კვლევის საზღვრები (ურთიერთმიმართება)



წყარო: შემუშავებულია მკვლევარის მიერ

კვლევაში გამოყენებული იქნა ემპირიული კვლევა სტუდენტთა ჩარიცხვის მენეჯმენტში ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ეფექტურობის შესამოწმებლად. ორ წელიწადში, 2017 წლის სექტემბრიდან 2019 წლის სექტემბრამდე, მოხდა ჩარიცხვების მენეჯმენტის აქტივობის დაკვირვება და გაანალიზება უნივერსიტეტში N 1.

დაკვირვების მიზნით, უნივერსიტეტი 1 შეირჩა შეერთებული შტატების 17 (3 საჯარო, 2 კერძო არაკომერციული და 12 კერძო არაკომერციული) უნივერსიტეტიდან. ამ კონკრეტული უნივერსიტეტის შერჩევას საფუძვლად დაედო პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გამოყენებული იყო საკომუნიკაციო პროცესის მონიტორინგისა და მონაცემებზე წვდომისთვის. მიმღები ჯგუფი შედგებოდა შვიდი მიმღები მრჩეველისგან/კონსულტანტისგან. ყველა რეკრუტირებული ციკლის დასაწყისში მრჩეველებს/კონსულტანტებს ენიჭებოდათ გარკვეული ტერიტორია რეკრუტირებისა და სტუდენტების ჩარიცხვის მენეჯმენტის მიზნების შესასრულებლად.

კვლევაში ხაზგასმულია სტუდენტური ჯგუფის მართვის მნიშვნელობა, გარდა ამისა, მტკიცდება, რომ სტუდენტების რაოდენობას არ აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ მონაცემები არ იქნება შესაბამისად მართული. ცხრილი 1 ასახავს მიღების სტატუსის ანგარიშს. მონაცემებში შედარებულია 2018 და 2019 წლების ციკლები დაკვირვების წლებიდან ამჟამინდელ წლებამდე (2015-2016-2017), წინასწარი დაკვირვების შედეგად.

ყოველწლიურად, რეკრუტირების აქტივობები სტუდენტთა ჯგუფებით იწყება. პირველი, „საერთო გამოკვლევები“ აჩვენებს, რომ 2018 წელს, 2019 წელთან (13 651) შედარებით, სულ 11 697 გამოკითხვა ჩატარდა. ეს სახელები უნდა გადაადგილდეს სპეციფიური ციკლის გავლით და მოხდეს ჩანაცვლება ჩარიცხული სტუდენტების სახით, შესაბამისად, სტუდენტების გადაყვანა მოითხოვს ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციას. მეორე, ცხრილი გვიჩვენებს „საერთო განაცხადებს“. 2018 წელს მიღებულ იქნა 3,490 განცხადება 2019 წელთან შედარებით (2 876 განცხადება). მესამე, „საერთო მიღება“ აჩვენებს, რომ 2018 წლიდან 3,490 აპლიკანტის განაცხადიდან მიღებული იქნა 1, 955 2019 წლის მონაცემებით, 2 876 განმცხადებელიდან მიიღეს 1,616 სტუდენტი.

დაბოლოს, სტუდენტთა ჩარიცხვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი 'net confirmed with deposit' "დადასტურებული შენატანით" და "სულ ჩარიცხული". 2018 წელს, 1 955 მიღებული სტუდენტიდან 955-მა სტუდენტმა გააკეთა შენატანი დეპოზიტზე. 2019 წლისგან განსხვავებით, 1,616 მიღებული სტუდენტიდან მხოლოდ 244 განახორციელა შენატანი. დადასტურება/შენატანი არ ნიშნავს, რომ სტუდენტები აუცილებლად დაესწრებიან უნივერსიტეტებს.

შესაბამისად, 2018 წელს 341 დადასტურებული სტუდენტიდან მხოლოდ 327 ჩაირიცხა, ხოლო 2019 წელს, 244 სტუდენტიდან 245. ცხრილ 1-ში ნაჩვენებია აქტივობა არ მოხდებოდა სავარაუდო სტუდენტებსა და მათ მშობლებს შორის სათანადო ორმხრივი კომუნიკაციის გარეშე. ამიტომ უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციაში ყოველთვის გვხდება სხვადასხვა სახის ბარიერები, რომლებმაც შეიძლება მცირედი, თუ დიდი გავლენა მოახდინონ კომუნიკაციის პროცესზე. ორ წელს შორის ინტერვალი იყო 97 სტუდენტი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩარიცხვის მენეჯმენტის მიზანი იყო დაახლოებით 375 სტუდენტი თითოეული რეკრუტირების ციკლისთვის. ახლა, ინტერვალი თითოეულ რეკრუტირების ციკლში (2017/18 და 18/19) ჩარიცხვის მენეჯმენტისთვის იყო შემდეგი (375-341) 2018 წლისთვის და (375-244) 2019 წლისთვის.

იმისათვის, რომ გვესმოდეს, თუ რა გავლენას ახდენს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია სტუდენტების ჩარიცხვის საერთო რაოდენობაზე, შესაბამისად, ინსტიტუციონალურ ბიუჯეტზე, შეგვიძლია გამოვიყენოთ მიახლოებითი დაანგარიშება. საშუალოდ, უნივერსიტეტში 1 სწავლის საფასური დაახლოებით 35,000 აშშ დოლარია. შესაბამისად, $(375-341 = 34 * 35,000 \$ = 1,190,000 \$)$ და $(375-244 = 131 * 35,000 \$ = 4,585,000 \$)$ ეს არის დეფიციტი უნივერსიტეტის საერთო ოპერაციული ბიუჯეტისთვის. ამ ციფრების მიხედვით კარგად ჩანს დანაკლისი \$ 1,1 მილიონი დოლარით 2017/2018 წელს და დაახლოებით \$ 4,5 მილიონით 2018/2019 წელს. დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის პირდაპირი გავლენა არაჯანსაღი კომუნიკაციის პროცესისა პოტენციურ სტუდენტებზე და მათ ოჯახებზე. ეს არის მიახლოებითი ციფრები, რომლებიც მიუთითებს თითოეული სტუდენტის მნიშვნელობაზე უნივერსიტეტებისთვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ორმხრივი კომუნიკაციების როლი.

საკვლევი საკითხის მხარდასაჭერად დავუბრუნდეთ გამოკითხულ სტუდენტებს. კვლევამ აჩვენა, რომ 2018 წელს, 2019 წელთან შედარებით (13 651 გამოკითხვა), ჩატარდა 11 697 გამოკითხვა. ახლა შევადაროთ ეს რიცხვები იმ წლებს, როდესაც დაკვირვება არ ტარდებოდა. ნათელია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოკითხული სტუდენტების ჯგუფი უფრო ნაკლებია, დაკვირვების წლებთან შედარებით. 2017 წელს 9,208 გამოკითხვა სტუდენტი და 325 ჩაირიცხა: 2016 წელს 9,206 და 376 სტუდენტი ჩაირიცხა, ხოლო 2015 წელს 10,710 დაინტერესებული და 359 ჩაირიცხული სტუდენტი იყო.

ეს არის კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომ არ აქვს მნიშვნელობა სტუდენტური ჯგუფის სიდიდეს, სტუდენტის მონაცემთა მართვა და კომუნიკაციის სიჩქარე გავლენას ახდენს ჩარიცხვების საერთო რაოდენობაზე. უფრო მეტიც, ოპერატიული ბიუჯეტის თვალსაზრისით, 2015 და 2018 წლებში უნივერსიტეტმა 1 შეინარჩუნა დაახლოებით იგივე ოპერატიული ბიუჯეტი - დაახლოებით \$ 11-12 მილიონი დოლარი, თუმცა, 2019 წელს მნიშვნელოვნად დაეცა და შეადგინა 9 მილიონი დოლარი.

ცხრილი 1. საშემოდგომო მიღების სტატუსის ანგარიში

FALL 2019 ADMISSIONS STATUS REPORT					
	August	Week 4	8/18/2019		
	<u>2019</u>	<u>2018</u>	<u>2017</u>	<u>2016</u>	<u>2015</u>
TOTAL INQUIRIES	13651	11697	9208	9206	10710
Target Segment 1	766	775	1129	1760	1095
TOTAL APPLICATIONS	2876	3490	3272	2961	2744
Target Segment 1	176	163	163	215	220
YEAR TO DATE HOLDS	186	291	333	228	183
CURRENT HOLDS	6	3	0	0	10
CANCELED BEFORE ACCEPTANCE	1131	1423	1444	1527	1340
ACCEPTANCE DENIED	37	92	74	44	42
APPLICATIONS IN-PROGRESS	92	20	5	43	126
ACCEPTANCES	1616	1955	1749	1347	1236
Target Segment 1	112	109	110	141	125
DECLINED WITHOUT DEPOSIT	1307	1570	1367	961	783
RESCIND WITH DEPOSIT	31	37	40	33	33
NET ACCEPTANCES	34	7	13	21	46
NET CONFIRMED WITH DEPOSIT	244	341	329	332	374
Target Segment 1	47	58	51	86	53
STOPOUTS	1	0	3	3	4
Target Segment 1	0	0	0	2	2
TOTAL INCOMING STUDENTS	245	341	332	335	378
Target Segment 1	47	58	51	88	55
TOTAL ENROLLED	?	327	325	376	359
Target Segment 1	?	51	91	55	73

ზემოთ აღნიშნული განცხადების გასამყარებლად, რომელიც ეხება სტუდენტზე ორიენტირებული, მომხმარებელზე ორიენტირებული და შესაბამისად ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობას სტუდენტების სწავლების მენეჯმენტში, შეგვიძლია გადავხედოთ 2-ე ცხრილს. ის ასახავს მრჩეველის/კონსულტანტის საქმიანობის შედარებას დაკვირვების წლებში. კვლევის თანახმად, ყოველწლიურად მრჩეველს/კონსულტანტს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური მიზნები რეკრუტირებისთვის, რაც აერთიანებს ჩარიცხვის საერთო რაოდენობას. არსებობს მოსაზრება, რომ უნივერსიტეტებმა უნდა მოახდინონ დაგეგმვა რეკრუტირების ციკლის დაწყებამდე, შესაბამისად “Confirm to Decline Ratio”/“თანაფარდობის უარყოფის დადასტურების“ ფორმულა შესაძლოა განხორციელებული იქნას უნივერსიტეტების მიერ. მაგალითად, 2-ე ცხრილის მიხედვით AC5-მ დაიწყო სასწავლო წელი 2018-ში 1,495 სტუდენტით, ხოლო 2,052 სტუდენტი გამოიკითხა 2019 წელს. შედეგად მივიღეთ 37% –იანი ზრდა. 2018 წელს განმცხადებელი/მსურველი სტუდენტების რაოდენობა იყო 514, ხოლო 2019 წელი 364. ეს მიუთითებს რაოდენობის შემცირებაზე -29%-ით, მიუხედავად იმისა, რომ ცვლილება გამოკვლეულ ჯგუფში უფრო მაღალი იყო. უფრო მეტიც, AC5-ში მიღებული სტუდენტების რაოდენობა 2018 წელს 317 და 2019 წელს 214 იყო. მიღებული ჯგუფი შემცირდა -32%-ით იყო, რის შედეგადაც მცირდება დადასტურებული(confirmed) ჯგუფის რაოდენობა. დაბოლოს, 2018 წელს AC5- ს ჰქონდა 74 დადასტურებული რაოდენობა, 2019 წელს კი მხოლოდ 40. რამაც გამოიწვია -46%-იანი ვარდნა. ეს წინა წელთან შედარებით უფრო მაღალი ვარდნაა. საერთო ჯამში, მე-3-ე ცხრილზე AC-ს შორის შედარების შედეგად დადგინდა, რომ 2018 და 2019 წლებს შორის მიღებულ დადასტურებებში AC1 შემცირდა -41% -ით, ეს ნიშნავს 24 რეკრუტირებულს 41-ის ნაცვლად; AC2 დაეცა -21% -ით; AC3 გაიზარდა 6% -ით; AC4 დაეცა -21% -ით; AC6 დაეცა -5% -ით და AC7 დაეცა -56% -ით. ეს არის ერთგვარი გაფრთხილება, რომ ორმხრივი კომუნიკაცია არ იყო ეფექტური უნივერსიტეტსა და მომავალ სტუდენტებს შორის. ცხრილი 2-ის შესაჯამებლად, გადავხედოთ შედარების საერთო რიცხვებს. 2018 წლიდან 2019 წლამდე გაიზარდა დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობა 17% -ით. თუმცა, ამან გამოიწვია

გამოკითხულ სტუდენტთა -17%-იანი ვარდნა. ჯერჯერობით, ცხრილში ნაჩვენებია გლუვი 17-18% ვარდნის კოეფიციენტი, თუმცა დადასტურების რიცხვი - 28% პროცენტით შემცირდა.

თუ ჩვენ გამოვიყენებთ "წარმატებული მრჩევლის" მიდგომას, როგორც ეს წარმოდგენილია და განხილულია კვლევაში, ეს იმის ნიშანია, რომ უნივერსიტეტსა და მომავალ სტუდენტებს შორის ურთიერთობა მესამე ეტაპზე რთულდება, შესაბამისად, ჩარიცხვების რიცხვი მნიშვნელოვნად დაეცა ბოლო ეტაპზე და უნივერსიტეტმა 1 დაასრულა რეკრუტირების ციკლი უარყოფითი სხვაობით.

ცხრილი 2. საშემოდგომო ისტორიული შედარებები მიმღები მრჩევლის მიერ, 2019

Fall 2019 Historical Comparisons by Counselor												
August Week 4 8/18/2019												
Campus	Inquired	Inquired	inc/dec	Applied	Applied	inc/dec	Accept	Accept	inc/dec	Net Confirm	Net Confirm	inc/dec
AC	2019	2018		2019	2018		2019	2018		2019	2018	
AC 1	4,371	2957	48%	773	668	16%	474	421	13%	24	41	-41%
AC 2	2,275	1911	19%	460	613	-23%	311	393	-21%	42	53	-21%
AC 3	737	930	-21%	196	308	-36%	100	144	-31%	37	35	6%
AC 4	574	649	-12%	341	442	-23%	137	182	-25%	44	56	-21%
AC 5	2,052	1495	37%	364	514	-29%	214	317	-32%	40	74	-46%
AC 6	2,284	1330	72%	428	516	-17%	219	249	-12%	39	41	-5%
AC 7	1,358	2425	-44%	314	429	-27%	161	249	-35%	18	41	-56%
Total	13651	11697	17%	2876	3490	-18%	1,616	1,955	-17%	244	341	-28%

დამატებით, ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა დაკვირვების მხარდასაჭერად და საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ასევე დასადგენად - მიიღოს ან უარყოს შემოთავაზებული ჰიპოთეზა. კვლევა ჩატარდა 2019 წლის 1 ოქტომბრიდან -25 ნოემბრამდე. 328 მონაწილემ მიიღო მონაწილეობა გამოკითხვაში, საიდანაც 105 ქართველი იყო. დასმულ ერთ – ერთ საკვანძო კითხვად იყო, რამდენად კმაყოფილები იყვნენ რესპონდენტები უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მარკეტინგული მასალებით. გამოკითხულთა 1.52% იყო " ძალიან უკმაყოფილო", 3.35% " უკმაყოფილო", 19.51% " ნეიტრალური", 64.63% " კმაყოფილი და 10.98% " ძალიან კმაყოფილი". მეორე მთავარი კითხვა იყო ის, თუ რამდენად ხშირად უკავშირდებოდა მიმღები წარმომადგენელი რესპონდენტებს. გამოკითხულთა 1.52% აღნიშნავს "არასოდეს", 23.17% აღნიშნავს "ერთხელ", 34.15% აღნიშნავს " დროის ნახევარი (half-time)", 30.79% "უმეტესად" და 10.37% აღნიშნავს "ყოველთვის". კომუნიკაციის სიხშირე მიმღები მრჩევლების მიერ ასახულია ცხრილში 3, თუ როგორ ითხოვდნენ მიმღები

წარმომადგენლებისგან ინდივიდუალური სტუდენტების ჩარიცხვის რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას.

ცხრილი 3. ჩარიცხვის პროგნოზები, AC 2019 (მარტი).

Enrollment Projections 2019																			
	INQUIRED		PREAPP		APPLIED		APPWDOC		APPCOMP		HOLD		ACCEPTED		CONFIRM		Totals	Goals	
	Cur	Proj	Cur	Proj	Cur	Proj	Cur	Proj	Cur	Proj	Cur	Proj	Cur	Proj	Cur	Proj	GOAL		
AC 1																	65	0	
AC 2	39	1	6	0	11	3	21	4	3	2	25	5	77	15	37	35	60	65	
AC 3																	65	0	
AC 4																	45	0	
AC 5																	70	0	
AC 6																	65	0	
AC 7																	60	0	

მაგალითად, AC2-ს მიზანი რეკრუტირების ციკლის დასაწყისში იყო 60 სტუდენტი. ამიტომ, მნიშვნელოვანია წარმატებული მრჩეველის საშუალებით ეფექტური კომუნიკაციის საჭიროება. 3-ე ცხრილში 10 ფრჩხილია მითითებული. მაგალითად, მოდით გადავხედოთ გამოყენებულ ფრჩხილს. გამოყენებულ ფრჩხილს აქვს ორი სვეტი; პირველი, მიმდინარე უკვე განმცხადებლის რაოდენობა და მეორე, საპროგნოზო ნომერი, რომელსაც AC2 ელოდება ჩარიცხვაზე. იგივე სტრუქტურაა სხვა ფრჩხილებისთვისაც. ყოველთვიური სახელმძღვანელოს მოდელის თანახმად, მარტში AC2-მ დააპროექტა შემდეგი ციფრები, რომ შეესრულებინა მისი ინდივიდუალური მიზანი. AC2-ს ჰყავს 39 დაინტერესებული სტუდენტი და პროექტები 1 სტუდენტის გადასაყვანად; AC2-ს ჰყავს 6 წინასწარი, 0 პროგნოზით; AC2-ს ჰყავს 11 განმცხადებელი, 3 პროგნოზით; AC2-ს ჰყავს 21 პროგრამაში 4 პროგნოზით; AC2-ს ჰყავს 3 პროგრამაში 2 პროგნოზით; AC2-ს ჰყავს 25 დაუდასტურებელი 5 პროგნოზით; AC2-ს ჰყავს 77 მიღებული 15 პროგნოზით და 37 დადასტურებულია 35 პროგნოზით. დასასრულს, AC2-ს მიიღო 65, თუმცა დაგეგმილი ჰქონდა 60. ამ ტიპის საქმიანობა მოითხოვს მუდმივ კომუნიკაციას; ამიტომ, მიმღები წარმომადგენლები/მრჩეველები "ყოველთვის" უნდა იყვნენ კონტაქტში, მაგრამ არა „ნახევარი დრო“ ან "ერთხელ".

ამიტომ AC2-სთვის დაგეგმვა, ორგანიზება, ხელმძღვანელობა და კონტროლი აუცილებელია კომუნიკაციის ნაკადის მართვისთვის. მონაცემებიდან რესპონდენტები თვლიან, რომ დაგეგმვასთან შედარებით ორგანიზება ძალიან მნიშვნელოვანია.

ამასთან, სხვაობა იყო 0.4 პუნქტში. ეს საშუალებას გვაძლევს პროცესი ორ ნაწილად დავყოთ: პირველი, დაგეგმვა და ორგანიზება, მეორე, წაყვანა და კონტროლი. გარდა ამისა, რეკრუტირების პროგნოზები მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს სტუდენტების ჩარიცხვის მენეჯმენტის ატრიბუტებს. AC2 საჭიროებს თანაბრად აითვისოს საგნის ცოდნა, გააჩნდეს მზრუნველი დამოკიდებულება, დისციპლინის ცოდნა, ცვლილების შეტანის სურვილი და მართვის ტექნიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩარიცხვის პროგნოზებს არ ექნებათ ეფექტურობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რესპონდენტებმა პირველი ორი ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევანი გააკეთეს მართვის ტექნიკასა და მზრუნველ დამოკიდებულებაზე, ხოლო საგნის ცოდნა ოდნავ ჩამორჩა დისციპლინის ცოდნას და ცვლილების შეტანის სურვილს.

ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ეფექტურობის შედარება როგორც საერთო, ისე ქართველი რესპონდენტებისათვის ცხადყოფს უნივერსიტეტებსა და მომავალ სტუდენტებს შორის ორმხრივი კომუნიკაციის მნიშვნელობას. ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობა ასახულია ცხრილში 1, 2 და 3. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი იყო კომუნიკაციის სასურველი მეთოდების შერჩევა. "ზარმა" მიიღო 109 (18,89%) რაოდენობა, "ელ.წერილმა" 229 (39,69%), "ტექსტმა" 61 (10,57%), "სოციალურმა მედიამ" 47 (8,15%), "პირადად შენიშვნამ" 16 (2,77%) ითვლის, "პირდაპირი კომუნიკაცია" მიიღო 115 (19,93%).

მიმღები წარმომადგენლები უნდა იყვნენ ჩართულნი სტრატეგიული კომუნიკაციის პროცესში და გამოიყენონ კომუნიკაციის ყველა შესაძლო გზა სტუდენტებთან და მათ ოჯახებთან ურთიერთობის მიზნით. დღეს, სტუდენტების უმრავლესობა არ პასუხობს სატელეფონო ზარს, თუმცა, სხვა კომუნიკაციის საშუალებებს მარტივად იყენებენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეს ელექტრონული რეკრუტირება უფრო ხშირად გამოიყენება სასაუბრო მარკეტინგის გამო, ამიტომ მათ აქვთ კავშირი ტექსტური შეტყობინებებით, სოციალური მედიის პლატფორმებით და ა.შ.

სავარაუდოდ, 7C-ები არის ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ძირითადი კომპონენტები. საბოლოოდ, კვლევამ აჩვენა, რომ

სტუდენტზე ორიენტირებული, მომხმარებელზე-მომსახურებაზე ორიენტირებული კომუნიკაცია აუცილებელია სტუდენტების ჩარიცხვის მენეჯმენტისთვის. ეს არის იმის მაჩვენებელი, რომ უნივერსიტეტებმა უნდა ჩადონ ინვესტიცია ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის მონიტორინგში, სტუდენტთა ჯგუფის ეფექტურად მართვის მიზნით. მარკეტინგულ სტრატეგიას არ ექნება იგივე გავლენა თუ მას მხარს არ დაუჭერს ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია.

თავი 4. სტუდენტთა მიღების მენეჯმენტის ქართული მოდელი

კვლევის გამოყენება ქართულ მოდელში

